საქართველოს მთავრობის

დადგენილება №609

2021 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №572 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №572 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/09/2020, 290160000.10.003.022292) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ადგენს:“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**